ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 11

ქ. ლანჩხუთი

20.12.2019.
12.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე.**

კომისიის წევრები: ზაზა წულაძე, კარლო კვიტაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, ოთარ პატეიშვილი.

მოწვეული სტუმრები: მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი ნაჭყებია.** მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **მარიამ კუპრაძე,** მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ნაჭყებია/

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე -5; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განაცხადა, რომ გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) პროექტი: რეგიონული ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ((FRLD) ფაზა 2 მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადდა პროექტი „ტურისტული მარშუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალო მთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის", პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 67039.6 ლარს

შეადგენს, რაშიც მუნიციპალიტეტის დასაფინანსებელია 7150 ლარი, გრანტის 5988,96 ლარის მიღებისთვის, აუცილებელია საკრებულოს თანხმობა.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის **გიორგი ნაჭყებიას** განმარტებით ეს არის ტურისტული პროექტი და მისი მთლიანი ბიუჯეტი მოხმარდება აცანისა და ჩოჩხათის თემებში მისასვლელი გზების რეაბილიტაციას, მდინარეების სუფსისა და აცაურას მიდამოებში მოეწყობა ვიზიტორთა ბანაკი, რომელიც აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით, დასუფთავდება მდინარეების მიმდებარე ტერიტორია, დაიდგმება გზის მაჩვენებლები და ნიშნულები, მოეწყობა სავაჭრო დახლები, საპიკნიკე, საკემპინგე ადგილები (თავისი ფუნქციური მოწყობილობებით), რომლებიც განკუთვნილი იქნება, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ვიზიტორებისათვის. მდინარე სუფსის წინასწარ განსაზღვრულ მონაკვეთზე, რომელიც ძალიან ახლოსაა მოსახლეობასთან, გაიმართება ჯომარდობა. ტურისტული ნაკადების მოზიდვას და მომსახურებას განახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპი, რომლის ფუნქციებშიც შედის შესაბამისი საქმიანობა.

აღნიშნული პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ და შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

მომხრე -5; წინააღმდეგი -არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ გიორგი ჩახვაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

დასკვნა №11

ქ. ლანჩხუთი

20.12.2019 წ.
12.00 საათი

2019 წლის 20 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე: 5, წინააღმდეგი: არცერთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი ჩახვაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.12. 2019 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	12⁰⁰	
2	ზაზა წულაძე	12⁰⁰	
3	კარლო კვიტაიშვილი	11⁵⁵	
4	ალექსანდრე მახათაძე	11⁵⁶	
5	ზაალ სანაძე	—	
6	ოთარ პატიეშვილი	11⁵⁵	
7	ზურაბ კუკულავა	—	
8	ირაკლი მარშანიშვილი	—	